# სახალხო გაზეთი

№ 312 პარასკევი, 27 მაისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 312

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე მეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სრამბა „ზღრაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## „სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოგაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან, 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

გამოვიდა ალ. ყანშიაშვილის ახალი დრამატიული პოემა

## „შვების თავადი"

ფასი 60 კ. გამოცემა მ. ნემსაძისა.

„სახალხო გაზეთის" ხელის-მომწერთ, რომელნიც წიგნს მოიკითხავენ გაზეთის კანტორაში, დაეთმობათ 40 კ. ქალაქ-გარედ ხელის მომწერლებმა ფოსტის ხარჯად უნდა გამოგზავნონ 10 კ. წიგნი იყიდება: ტფილისში წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და თვით გამომცემელთან (დიდი ვანქის ქ. № 12). (10—1308—1)

ქართული საზაფხულო თეატრი

კვირას, 29 მაისს,

ვ. გუნია და გ. არადელი-იმხნელი გამართავენ იაფ-ფასიან წარმოდგენას (20 კ.-დან 2 მ.-დე), წარმოდგენილი იქნება ა. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

## ღალატი

ისტორიული ლეგენდა 5 მოქმედ. გრ. ყიფშიძის თარგმანი.

მომქმედნი პირნი: ზეინაბ—ა. ჩირგაძე, სულეიმან—შ. შარაშიძე, ოთარ—ვ. გუნია, ანანია—გ. არადელი, ერეკლე—მგალობლიშვილი, დათო—ბ. მდივანი, ბესო—ვ. აბაშიძე, საბა—ი. ივანიძე, გაიანე—პიერეტა, რუქაია—ა. კარგარეთელი, ისახარ—ე. ჩერქეზიშვილი.

საზაფხულო თეატრსა და ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა. დასაწყისი საღამოს 8½ ს. (4—1230—2)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—55)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

## იყიდება შემდეგი წიგნები:

არჩილ ჯორჯაძისა: „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი 75 კაპ.

Bâton-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით".—ფასი 1 მან. 20 კაპ.

ვ. უიფიანისა: „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან"—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის" („Новая рѣчь") წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეს და ღამეს. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., თრშ., და პარ. 10½—11 ს.

დბვთიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუხრანიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

ხობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კოხსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შემდგომ. საფასურით. (წ.—1089—473)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—64

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდა კვირა-უქმეებისა ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაზაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

გ. ს. ხტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით. (წ. 1090—69)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—25

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N2.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7ს. ლოვინის პრ. N 12, ახლი მდ.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ...

## შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა ტფილისის განყოფილება იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355. საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—24)

კომიტეტი ქვიტკირის ეკლესიის აშენებელი დ. ზუგდიდში, ამით აცხადებს, რომ 9 ივნისს, ამა წლისას, შუადღის 12 საათზე, ეკლესიის გალავანში დანიშნულია იჯარით გაცემა ეკლესიის აშენებისა.

ეკლესიის გეგმა, ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა პირობები მსურველთ შეუძლიანთ ნახონ კომიტეტის თავმჯდომარე ბლაღოჩინ-მღვდ. ევგენი შენგელაიასთან.

კომიტეტის თავმჯდომარე მღვდელი ევგენი შენგელაია. კომიტეტის მდივანი ტ. ჯგუშია. (3—1307—3)

ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის ყოფილი მსმენელი ქალი ფრანგულ-გერმანულ ენებისა და მუსიკის მცოდნე

## ეძებს გაკვეთილებს

თანახმაა ქალაქ-გარედაც წავიდეს მასწავლებლად.

ადრესი: გუდოვიჩის ქ. № 7; სამხატვრო კურსები. იკითხეთ მასწავლებელი ქალი. (10—1309—1)


## ტფილისი, 27 მაისი

**ინგლისის ავტონომიური სახელმწიფონი.**

ინგლისი პოლიტიკურ აზრის განვითარების კლასიკურ ქვეყნად შეიძლება ჩაითვალოს. არას ვიტყვით მოქალაქობრივ თავისუფლებაზე, რომელიც დიდი ხანია დამყარდა ინგლისში და რომელსაც არსაიდან არავითარი საფრთხე არ მოელის. განსაკუთრებით საინტერესოა პოლიტიკური მხარე შინაგან წყობილებისა, რომელიც ინგლისსა და მის ავტონომიურ ახალშენების დამოკიდებულებაში გამოიხატება. ინგლისი ერთი უდიდესი სახელმწიფოთაგანია, იმპერიალიზმი იქაც ძალიან განვითარებულია, მაგრამ ეს გარემოება მაინც ხელს არ უშლის ახალშენების თავისუფალ განვითარებას. ყოველს ახალშენს თავისი ავტონომიური თვითმმართველობა აქვს, ეს კიდევ ცოტაა. ტრანსვალის რესპუბლიკას, რომელთანაც ამ რამდენისამე წლის წინად სასტიკი ომი ჰქონდა, თვითონ მიანიჭა ავტონომიური თვით-მმართველობა და შექმნა აფრიკის ფედერატიული წეს-წყობილება, რომლის მეთაურადაც დღეს ითვლება ცნობილი ბოტა, ყოფილი მეთაური ბურების ჯარებისა. გუშინდელი მოსისხლე მტერი ინგლისისა დღეს მის მეგობრად, ლოიალურ მეგობრად გადაქცეულა და ინგლისის სხვა ავტონომიურ სახელმწიფოებთან ერთად საერთო საიმპერიო უღელის ჭაპანს ეწევა.

ასეთი მდგომარეობა კი დაჰბადა ინგლისის ბრძნულმა პოლიტიკამ. მაშინ, როდესაც სხვა დიდი სახელმწიფონი უკიდურეს ნაციონალიზმსა და ცენტრალიზმის მომხრეედ გამოდიან, ამყარებენ მტრულ განწყობილებას იმ ერთადმი, რომელნიც მათს სახელმწიფოში შედიან, ინგლისი სრულს თავისუფლებას აძლევს თავის ახალშენებს და საშუალებას აძლევს ისე განავითარონ თავიანთი შინაური ცხოვრება, როგორცა სურთ და ეხერხებათ. ასეთი პოლიტიკა საუკეთესო თავდებია იმისი, რომ ინგლისის ახალ-შენები თვითონაც განვითარდებიან და სამუდამოდ ინგლისის მეგობრებადაც დარჩებიან. დღევანდელ ჩვენს გაზეთიდან მკითხველი გაიგებს, რომ ლონდონში გაიმართა ინგლისის ახალ-შენების პრემიერთა კრება. ამ კრებაზე გამოთქმულ იქმნა, სხვათა შორის, ის აზრიც, რომ პოლიტიკურ მონობის მოსპობა სასარგებლოა არა მარტო დამონებულთათვის, არამედ დამმონებელთათვისაო. ამას ერთხმად აღიარებენ ყველა ახალშენების წარმომადგენლები და ამასვე ანხორციელებს ინგლისის ცენტრალური მთავრობაც. ავტონომიურ თვით-მმართველობასა და ცენტრალურ მთავრობას შორის შეიძლება კერძო შემთხვევებში უთანხმოებაც არსებობდეს, მაგრამ საერთოდ მაინც ნათლადა სჩანს, რომ ასეთი პოლიტიკა უფრო აძლიერებს კავშირს ცენტრსა და პერიფერიებს შორის. ინგლისს ნათლადა აქვს შეგნებული მნიშვნელობა ამ გვარ პოლიტიკისა და ამიტომ არც ერთხელ არ გადაუხვევია თავის გზიდან. განუხორციელებელია მხოლოდ ავტონომია ირლანდიისა, მაგრამ ესეც მხოლოდ ლორდთა პალატის წყალობით. ინგლისის ლიბერალური მთავრობა ყოველთვის მომხრე იყო ხოლმე ირლანდიის ავტონომიისა, და, თქმა არ უნდა, როგორც კი ლორდთა პალატის უფლებებს ფრთებს შეაკვეცავს, ირლანდიასაც ავტონომიას მიანიჭებს.

**რეინბოტის საქმე და რუსეთის დღევანდელი სინამდვილე**

მოსკოვის ყოფილ გრადონაჩალნიკის საქმე დასრულდა: სასამართლომ იგი დამნაშავედ იცნო, ყველა უფლებანი აჰხადა და ერთი წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა. სასჯელი საკმაოდ სასტიკია. თითქოს კანონიერების პრესტიჟიც აღდგენილ იქმნა ამ განაჩენით, მაგრამ რუსეთის მოწინავე საზოგადოება მაინც დაკმაყოფილებული არ არის. სასამართლომ დაადგინა, იმუამდგომლოს, რომ რეინბოტს სასჯელი შეუმსუბუქდეს. ადვილად შესაძლებელია ეს, მართლაც ასე მოხდეს. მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. საინტერესოა არა ის, თუ როგორ დაისჯება რეინბოტი, ან რამდენად სასტიკ სასჯელს მიიღებს, არამედ ის, რომ ამ განაჩენით თითქოს დაგმობილ იქმნა ადმინისტრატიული თვითნებობა მოხელეთა, რომელნიც ბოროტად ხმარობდნენ მინიჭებულ უფლებებს. სასამართლომ დამნაშავედ იცნო რეინბოტი და ამით თითქოს დამნაშავედ გამოაცხადა საზოგადოდ ყოველგვარი ადმინისტრატიული თვითნებობა. ასეთი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა სასამართლოს განაჩენს საზოგადოებაზე, მაგრამ, როგორც ვსთქვით, ეს ასე არ მოხდა. საზოგადოება ვერ დაკმაყოფილდა ამ განაჩენით, რადგანაც ძალიან კარგად ხედავს, რომ რეინბოტის გასამართლება არსებულ მდგომარეობას სრულიად არა სცვლის. რეინბოტი დაისაჯა, მაგრამ ხელუხლებელი დარჩა სისტემა, რომელიც რეინბოტებს ასაზრდოებს, უადვილებს ბოროტად მოხმარებას თავის განსაკუთრებულ უფლებებისას. არა ერთი და ორი კუთხეა რუსეთში ისეთი, სადაც განსაკუთრებულ უფლებებით აღჭურვილი წვრილი და დიდი მოხელენი ადმინისტრაციისა, უეჭველია, ბევრს არა კანონიერებას სჩადიან, მსგავსად რეინბოტისა. საზოგადოება მოკლებულია საშუალებას, ყოველთვის ანგარიში გაუწიოს ამ უკანონობას, რადგანაც თვითეულს ასეთს ნაბიჯს ძლიერნი ამა ქვეყნისანი სახელმწიფოს ღალატად აღიარებენ. სასამართლომდის კი საქმე მხოლოდ მაშინ მიდის, როდესაც უკანონობა იზრდება, ყოველგვარ საზღვრებსა სცილდება და ყველას თვალში ეჩხირება. ამისთანა შემთხვევაში სასამართლოც ალაპარაკდება ხოლმე, მაგრამ რა ხდება იქ, ცხოვრების გულის სიღრმეში, რანაირს გამოხატულებას იღებს უკანონობა და როგორის საშუალებით ებრძვიან ამ უკანონობას,—ეს ღრმადაა საზოგადოების ფართო მასისთვის დაფარულია. სასამართლოს ვერც შეუძლია ანგარიში გაუწიოს ამნაირს უკანონობას. სასამართლოს ვერ შეუძლია მოსპოს უკანონობა, რომელსაც მთელი წლობით ჰქმნიდა მთელი სისტემა დაკანონებულ უკანონობისა. ვერც მოისპობა იგი იმ დრომდე, სანამ მთავრობა მარტო კერძო პირთა უკანონობის დევნით კი არ დაკმაყოფილდება, არამედ არ შეჰქმნის ისეთს პირობებს, როდესაც ამ უკანონობის განვითარებას საფუძველი აღარ ექნება. რეინბოტი დაისაჯა, მაგრამ ვინ მოსთვლის რამდენი რეინბოტი დარჩა განუსჯელი, ვინ მოსთვლის რამდენ რეინბოტსა ზრდის დღევანდელი სინამდვილე? აი, სწორედ ამიტომაა, სასამართლოს განაჩენმა ზნეობრივად რომ ვერ დააკმაყოფილა რუსეთის საზოგადოების პროგრესიული ნაწილი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

10 მაისს ლონდონში ინგლისის ახალშენთა მთავარ-მინისტრების კონფერენცია დაიწყო, სადაც ბევრი საგულისხმო აზრი გამოითქვა:

„ქვეყანაზე დიდი სიბნელე და მწუხარება მეფობს. ყოველი ადამიანი ვალდებულია, იმ პატარა კუთხეში, სადაცა სცხოვრობს შეამციროს გაჭირვება, ბნელი გაჰფანტოს...

თანამედროვე საზოგადოების უბედურებას ისიც წარმოადგენს, რომ ძალლონის პატრონ პიროვნებას ყოველთვის არა აქვს შესაძლებლობა იგი განავითაროს, გამოიყენოს და დაბალის წრიდან უმაღლესში მოექცეს. უფრო დიდი უბედურება კი ისაა, რომ თანამედროვე საზოგადოებას, საშუალება არა აქვს უნიჭო ხალხი მაღალის წრიდან დაბალში გადაიყვანოს...

პოლიტიკურ ჩაგვრის მოსპობა სასარგებლოა როგორც ჩაგრულთათვის ისე მჩაგვრელთათვის. ძნელი სათქმელია, ვინ უფრო მეტს მოიგებს ამ საქმეში: პირველნი თუ მეორენი".

ინგლისის ახალშენთა მთავარ-მინისტრებს ასე ახასიათებს „რ. ვ."-ის თანამშრომელი დიონეო:

„კანადის მთავარ-მინისტრი სერ ვილფ ლორიე 70 წლისაა, სუფთად გაპარსული, მშვენიერი, მოძრავი და მეტყველი თვალები აქვს, მაღალი შუბლი და ქანდაკა ტუჩები პკუისა და ხასიათის სიმტკიცეს უმოწმებენ. მჭერმეტყველობისათვის კანადაში „ოქრო-პირს"—უწოდებენ. კანადის მთავარ-მინისტრად 1896 წლიდანაა, სადაც მოსახლეობენ ინგლისელები, ფრანგები. თვითონ ფრანგია, ინგლისური არც კი იცის. პირველად მან აღიმაღლა ხმა და განაცხადა; ინგლისის სახელმწიფო დამოუკიდებელ ეროვნებათა ფედერაციად უნდა გარდაიქცესო. კანადა—სხვა ეროვნებაა.

„მე არც იმპერიალისტი ვარ, არც იმპერიალიზმის მოწინააღმდეგე—სთქვა მან, როდესაც კანადისა და ამერიკელების შეერთებულ შტატების დაახლოვებაზე ილაპარაკა—მე კანადელი ვარ. ინგლისის სახელმწიფო დიდად მიყვარს, მაგრამ ყოველ ღონეს ვიხმარ კანადა ინგლისს ჩამოვაშორო, თუ ცენტრალურ მთავრობის გაბატონება მოიწადინეს. ინგლისი ძლიერია თავისუფლებისა და შემადგენელ ერთა ეროვნულებისადმი პატივისცემით. ყოველ ასეთ ერთეულს ისეთივე სრული თვით-მმართველობა უნდა ჰქონდეს მინიჭებული, როგორიც თვითონ დედა-ქვეყანასა აქვს. რაც უფრო მეტი თავისუფლება ექნება ასული მით უფრო მტკიცე კავშირი ექმნებათ დედა-ქვეყანასთან".

კანადას ფლოტი კანადას პარლამენტის კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. გემებზე კანადელი აფიცრები უნდა მსახურებდნენ და არა ინგლისელნი.

ეკონომიურ საკითხებში კანადა უპირველესად თავის ინტერესებს დაიცავს, კანადა თავის მრეწველობის დასაცავად ბაჟს დაადებს როგორც გერმანელთა ისე ინგლისელთა საქონელსაო".

წერილის ავტორს სხვა ცნობათა შორის მოჰყავს ახალ ზელანდიის მთავარ-მინისტრ სერ უორდის აზრი, რომ შესდგეს საიმპერიო საბჭო, სადაც წარმომადგენელნი ეყოლებათ როგორც თვით ბრიტანიას, ისე მის ახალშენებს. ამის წინააღმდეგ ილაშქრებს ლორიე.

კონფერენცია ახალშენთა თავდაცვის საკითხსაც განიხილავს. მთავარ-მინისტრებშია უმრავლესობა საახალშენო ფლოტის მომხრეა და საერთო საიმპერიო საბჭოს დაარსების წინააღმდეგი.

## ახალი ამბავი

ტფილისი

ქართული გრამატიკა ფრანგულს ენაზე. ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელს ედუარდ ლუაზენს ქართული გრამატიკა შეუდგენია ფრანგულად და ლიტოგრაფიულად გამოუცია. წიგნ სათაური აქვს: „Matériaux pour servir a l'etude du verbe géorgien moderne".

✦ ა. შანშიაშვილის პოემა „შვების თავადი“ უკვე გამოვიდა ცალკე წიგნად და იყიდება: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, გამომცემელ მ. ნემსაძესთან და „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. წიგნი მოზრდილი ფორმატისაა, დაბეჭდილია მეტად სუფთად და ლამაზად, შეიცავს 158 გვერდს და ჰღირს 60 კაპ. „სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთ წიგნი 40 კაპ. დაეთმობათ.

✦ **ქალაქის თვითმართველობის საამშენებლო კომისიამ** უბნის ხუროთმოძღვართ წინადადება მისცა ფხიზლად ადევნონ თვალყური რათა ახალ შენობის აგების დროს სახლის პატრონებმა სავალდებულო დადგენილებანი შეასრულონ.

✦ **სენატორი რეინეკე** კავკასიისაკენ გამომგზავრებულა. მას აზრად აქვს გაეცნოს საიპეკუნო საქმის მდგომარეობას კავკასიაში.

✦ **კავკას. ქალაქების უძრავ ქონებაზე** სამის წლით გაწერილი საერობო გადასახადი 7,32,500 მანეთი წლიურად ამ რიგად განაწილდა: ბათომის ოლქზე—26,670 მ., ყარსის ოლქზე—10,220, ბაქოს გუბ.—288900, განჯის გუბ.—33,780, ქუთაისის გუბ.—29,340 მან., ტფილისის გუბ. 224,900, შავი ზღვის მხარის გუბ.—21.339 ერევნის გუბერ—33,780, ზაქათალის ოლქი—1,320 და სოხუმის ოლქ. 12,450.

✦ **გაჯიბრება.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ხუროთ-მოძღვართა და მხატვართა საზოგადოებას დაავალა გამოაცხადოს გაჯიბრება ჟელეზნოვოდსკში ტალახით სამკურნალო სააბაზანოს ასაშენებელ პროექტისა. საუკეთესო პროექტის შედგენისათვის დანიშნულია: 1000, 750 და 500 მანეთი.

✦ გუშინ **მამადავითის ეკლესიაში**, სწირა საქართველოს ეგზარხოსმა ინოკენტიმ. წირვა და გალობა რუსულად იყო.

✦ უკანასკნელ ხანებში ბევრი მეფურნე ფურნეს ახალ მანქანით ახურებს, რომელიც მაზუთით ინთება. რადგანაც ქალაქის თვითმართველობას სავალდებულო დადგენილება არა აქვს შემუშავებული, ხშირად პოლიცია მეფურნეებს ნებას არ აძლევს ახალი მანქანით ახურონ ფურნეები. ამიტომ უკანასკნელთ თხოვნით მიჰმართეს ქალაქის თვითმართველობას მალე შეიმუშავეთ საამისო წესიო.

**ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ**

— 25 მაისს, ბორჩალოს მაზრის გლეხმა მაქსიმე ივანოვმა პოლიციაში განაცხადა რომ 20 დან 24 მაისამდე შინიდან უცნობთ 40 მან. ღირებული ავეჯები გაუტანიათ. პოლიციამ ბოროტმოქმედი აღმოაჩინა: ბორჩალოსავე მაზრის მცხოვრები სტეფანე ლოქტიონოვი, ნაძარცვი იპოვეს და პატრონს დაუბრუნეს.

— 25 მაისს ჩხუბის დროს ჩუტუმოვმა დანით ფეხში დასჭრა ტოროჟიანცი. ჩუტუმოვი შეიპყრეს.

— მებადურეებმა გაბრიელოვმა და საატოვმა მტკვრიდან დამრჩვალ კაცის გვამი ამოიღეს. დამრჩვალი რუსსა ჰგავს, ვინაობა არ იციან.

— თავად ორბელიანის აბანოში წყლის გასაცხელებელ ქვაბის მილს ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ მალე ჩააქრეს.

— ალექსეევის ქუჩაზე ერთი კვირის ბავშვი იპოვეს დედობრივი სქესისა და საბებიო ინსტიტუტთან არსებულ ბავშვების თავშესაფარში გაჰგზავნეს.

**ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ**

✦ **სომეხ. გრიგორიანთა პატრიარქის მემორანდუმი**, რომელიც შემუშავებულ იქმნა სომეხ-კათოლიკეთა, ბოლგარებისა და საქვეყნო (საბერძნეთის) პატრიარქის მონაწილეობით წარედგინა ოსმალეთის მთავრობას. ამ მემორანდუმით კათოლიკოსი თხოულობს, რომ ოსმალეთის მთავრობამ გააუქმოს ქრისტენთა შესახებ წინანდელი განკარგულება. ყველა სკოლები უნდა ექვემდებარებოდეს სარწმუნოების მიხედვით საპატრიარქოს; სკოლების პროგრამა უნდა შეიმუშავდეს და საპატრიარქომ დაამტკიცოს. მთავრობის სუბსიდიები საპატრიარქოს საშუალებით უნდა გადაიცეს და იქ სწავლა დამთავრებულთ ისეთივე უფლებები მიენიჭოს, როგორიც მთავრობის სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთა. სამხედრო-ბეგარის მოხდაში ქრისტიანეთაც ისეთივე უფლება მიენიჭოთ, როგორც მაჰმადიანთ სამხედრო სამსახურის დებულებანი ოსმალეთის ქვეშევრდომების სხვა ერების ენაზედაც გადაითარგმნოს. ქრისტიანებს სამხედრო აკადემიაში შესვლის უფლება უნდა მიეცესთ.

თუ კონსტიტუციის მიხედვით მთავრობა არ შეისრულებს ამ მოთხოვნილებებს, კათოლიკოსი პასუხის-მგებელი არ იქნება მოსალოდნელ და არა სასურველ შედეგში.

✦ ამას წინად ჩვენ აღნიშნული გვქონდა რომ განსვენებული მანთაშევის შემწეობით უმაღლეს სწავლა დამთავრებულთ განიზრახეს სასწავლებლების გასახსნელად ფონდის დაარსება. ეხლა მათ ბაქოს სომეხ კულტურულ კავშირისათვის მიუმართნიათ და წინადადება მიუციათ რათა შეგროვილი ფული იმ ნიჭიერ ახალგაზრდათ მოხმარდეს, რომელნიც უმთავრეს სწავლის მისაღებად საზღვარ-გარედ ან რუსეთს წავლენ. ეს გამოიწვია იმან, რომ პირველ დაწყებით სკოლების გახსნაზე უკვე მრავალი საქველმოქმედო საზოგადოებები ზრუნავს.

✦ სომეხთა ეროვნულ თვითმართველობის გამგეობის წევრებად ერთიანად კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები აურჩევიათ. დაშნაკცაკანების კანდიდატები გაუშავებიათ.

✦ ნოვოჩერკასკის სასამართლო პალატის გამომძიებელმა აცნობა იმ პირთ, რომელთაც დაშნაკცაკანების პარტიის წევრობა ედებოდა ბრალად, და ამ ჟამად თავდებით არიან განთავისუფლებულნი, რომ ათმ საქმის გაცნობა მხოლოდ ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოში შეუძლიანთ და უეჭველად პირადად.

**Ქ Უ Თ Ა Ი Ს Ი**

✦ ქუთაისში მომავალ თვის 5 რიცხვიდან ქართულ ენაზე **გაზეთი „კოოპერაცია“** გამოვა.

✦ ბ. გუბერნატორს წინადადება მიუცია ქალაქის გამგეობისათვის, რომ ამიერიდან ყველა ოქმი სანიტარულ მოთხოვნილებათა დარღვევის შესახებ ეგზავნებოდეს პირდაპირ მას და არა რომელიმე მომრიგებელ მოსამართლეს.

✦ ქალაქის საბჭომ მიიღო ქალაქის გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა იქმნეს მიღებული ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

✦ 23 მაისს, ქუთაისის საოლქო სასამართლოს დარბაზში დაიწყო სხდომები სამოსამართლო პალატისა.

პალატამ გაარჩია საქმე ოზურგეთის მაზ. გურიანთის ნაწილის ყოფილ ბოქაულის იასონ ივანეს ძე გვირიშვილისა, რომელსაც ბრალდებოდა ყალბი ცნობების წარდგენა კალანდარიშვილის შესახებ, რის გამო კალანდარიშვილს მიეცა საზღვარ-გარეთის პასპორტი უფასოდ. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე თ. გედევანოვი. პალატამ გვირიშვილი გაამართლა, მხოლოდ საყვედური გამოუცხადა.

✦ 25 მაისს, პარმენ და სერაფიონ გედევანიძეები შევიდნენ მელიტონ ტუკვაძის დუქანში და დასჭრეს თავში და მარჯვენა ხელში.

✦ 23 მაისს, ქუთაისის საოლქო სასამართლომ ფედოროვის თავმჯდომარეობით გაარჩია საქმე ყოფილ ტელეგრაფისტის კობაძისა, რომელსაც ბრალდებოდა გიმნაზიის მოწაფის ლოსაბერიძის მოკვლა. კობაძემ თავი დამნაშავედ აღიარა; იცავდა ნაფიცი ვექილი ფლავა. სასამართლომ დამნაშავეს 20 წლის კატორღა მიუსაჯა.

✦ 22 მაისს, ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოში ალექსანდრე ნიქაბაძემ დასჭრა აბრამ ხოტოველი. მიზეზი ხოტოველის ჯაშუშობა ყოფილა.

**Ბ Ა Თ Ო Მ Ი**

✦ დეპეშათა სააგენტო იტყობინება, **ოსმალეთიდან დაბრუნდნენ რუსი ყაზახები**, რომელნიც ეკატერინე დიდის დროს გადასახლდნენ. ქალაქი და სამხედრო პირები დიდი ამბით დახვდნენ.

**Ბ Ა Ქ Ო**

✦ ქალაქის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რათა ნავთის ფირმებს მრეწველობის წესდების 580 მუხლის ძალით გადაახდევინონ დარჩენილი გადასახადები.

✦ ხმოსნების დამატებით, არჩევნები დანიშნულია 31 მაისისათვის; უნდა აირჩიონ 28 ხმოსანი და 16 კანდიდატი.

✦ როგორც გადმოგვცეს, არჩევნებით უკმაყოფილო ამომრჩეველთა ჯგუფმა სტოლიპინს დეპეშით სთხოვა, რათა დაიცვას უმცირესობის ინტერესები. როგორც ამბობენ ზოგიერთებმა პურიშკევიჩსა და მენშიკოვსაც მიმართეს.

**ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ**

✦ თეირანში ხმა გავრცელდა ვითომ სპარსეთის რეგენტი სპარსეთის თავს ანებებსო.

✦ სპარსეთის ჯარების უფროსად სეივალ სალტანე დაინიშნა.

✦ სპარსეთის არაბეთის გუბერნატორად პრინცი ასადულა მირზა დაინიშნა.

**ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ**

✦ **მატარებლის ლიანდაგიდან გადავარდნა.** 21 მაისს ბაქოს გზაზე სადგურ საგირი და ბადარის შუა შერეული მატარებელი № 106 კამეჩების ნახირს დაეჯახა. სამი საბარგო ვაგონი ლიანდაგიდან ხრამში გადავარდა და დაამსხვრა. ლიანდაგს გადასცდა აგრეთვე ოთხი სამგზავრო ვაგონი. ძლიერ დაშავდა სამი კონდუქტორი: ანდრია რედკოვი, პეტრე პისმენი და იაკობ ხუციშვილი; მგზავრთაგან არავინ არ დაშავებულა; მატარებელმა 10 კამეჩი გასრისა. ლიანდაგი ასი საჟენის სიგრძეზე გაფუჭდა, რის გამოც 21 და 22 მაისს ამ ადგილას მგზავრებს მეორე მატარებელში გადაჯდომა უხდებოდათ. წესიერი მიმოსვლა მხოლოდ 23 აღადგინეს.

✦ 21 მაისს ყარსის გზის 121 ვერსზე ლიანდაგზე კლდე მოწყვადა, რომელმაც ხიდი ჩატეხა და ლიანდაგი 16 საჟ. სიგრძეზე გააფუჭა. წესიერი მიმოსვლა აღადგინეს.

✦ განჯის სადგურთან 479 ვერსის დარაჯს მაქრო სეხნიაშვილს, 23 მაისს მეორე დღეს ღამის 12 საათზე ყაჩაღები დაეცნენ, წაართვეს ცხვრები ქათმები და სრულა აუტეხეს; არავინ არ დაჭერილა.

✦ 24 მაისს, ერევნის სადგურის მუშას აპიტნაკ არუთუნიანცს რელსით დაეცა და ხელი მოსტეხა. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

**ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ**

✦ **დუშეთის მაზრაში.** თავად ნიკოლოზ ბაგრატიონ-მუხრანსკის მამულში სოფ. ძალისის მცხოვრებთ საძოვრად ნახირი შეერეკათ. მამულების დარაჯებს გიორგი შენგელიას და ასან პირ ვერდის სოფლელებთან ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც თოფით მოკლულ იქნა გლეხი გიგლა გათენაშვილი და მძიმედ დაიჭრა გიორგი სამლიშვილი.

✦ სოფ. კანათიაში გამოურკვეველ მიზეზების გამო თავი მოიკლა ხოშია (მარიამ) ბალალაურის ქალმა.

✦ სოფ. **ქვემო ავლევის** მცხოვრებს ნიკა ხერკელაძეს სამი შეიარაღებული ყაჩაღი დაეცა და 37 მან. წაართვეს.

✦ **სიღნაღის მაზრის**, სოფ. მელაანის მცხოვრებმა სოლიკო კურტანიძემ თოფით მძიმედ დასჭრა პაატ პაატიაშვილი.

✦ **თიანეთის მაზრის** ჯაბანიანთ სოფლის გზაზე, უცნობი ბოროტმოქმედნი დაჰხვდნიან მელანია ბატრაშვილის ცოლს, წაურთმევიათ ფული და 23 მანეთად ღირებული ვერცხლის ყელსაბამი.

✦ **ბორჩალოს მაზრის**, სოფ. ბაიდორში იბრაგიმ მუსტაფა ოღლის და ალავერდი ისმაილ ოღლის, ხანჯლით მოუკლავთ თავის სახლში აკალარ თაირ ალა სულთანოვი; მიზეზი ის ყოფილა, რომ უკანასკნელს თავისი და—იბრაგიმის ცოლი ქმრისთვის წაურთმევია და სხვისთვის მიუთხოვებია.

✦ ქალაქ. **სოხუმსა და შუშაში** ყოვილდ ღიურ რუსული გაზეთის გამოცემის ნებართვა აუღიათ.

## ᲙᲠᲔᲑᲐ

**კავკ. ქალაქების წარმომადგენელთა**

**ხოლერისა და შავი ჭირის წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად**

ხუთშაბათს, 26 მაისს, სახალხო სახლში დილის 12 საათზე, კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრება დაიწყო. კრების თავჯდომარემ ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა, დამსწრეთ პირველად ეს დიდებული დღე მიულოცა და შემდეგ უსურვა კრებას პრაქტიკული ზომების შემუშავება ხოლერისა და შავის ჭირის საწინააღმდეგოდ.

ამის შემდეგ ა. ი. ხატისოვის წინადადებით კრების საპატიო თავჯდომარედ არჩეულ იქმნა კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, რომელსაც პეტერბურგში შესაფერი დეპეშა გაეგზავნა.

ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნის ლუნკევიჩის წინადადებით მისალოცი დეპეშა გაეგზავნა აგრეთვე მედიცინის ვარსკვლავს, ცნობილს მეცნიერს ი. ი. მეჩნიკოვს.

შემდეგ ილაპარაკეს და კრებას ნაყოფიერი მუშაობა უსურვეს კავკასიის სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელმა, სახალხო სკოლათა დირექტორმა ბ-ნმა ფედოროვსკიმ, ფერშალთა და კავკავის ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

ტფ. ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა გ. ნ. სტეფანოვმა მოხსენება წაიკითხა შემდეგს თემაზე „საფუძველნი მედიცინისა და დღევანდელ კრების საგანი“, ხოლო ტფ. ქალაქის მდივანმა მ. ა. ჯაბარმა „გაჯანსაღება ქალაქებისა და მათი ფინანსები“.

კავკასიის სამოქალაქო ... სახელით ილაპარაკა ნამესტნიკის თანაშემწემ სენატორმა ვეტაცემ, რომელმაც კრებას ნაყოფიერება უსურვა და დასასრულ სთქვა, ასეთს კრებებს მე ყოველთვის დიდს მნიშვნელობას ვაძლევ, რადგან მხოლოდ აზრთა გაზიარებით არის შესაძლებელი იმ ნაკლისა და საჭიროებათა ნამდვილი გამორკვევა, რომლის გაგება ერთის კაცის ძალას აღემატებაო.

მცირე ხნის შემდეგ დარბაზში შემოვიდა საქართველოს ეგზარხოსი, რომელსაც კრება ფეხზე ადგომით მიეგება. ეგზარხოსმა თავის მხრით კრება აკურთხა და უსურვა მის მუშაობას პრაქტიკული შედეგი მოჰყვეს.

დასასრულ თავჯდომარის ხუთი თანაშემწე და 11 მდივანი იქმნენ არჩეულნი.

არჩეულ იქმნენ: თავჯდომარის თანაშემწეებად: განჯის ქალაქის მოურავი—ადილ ხან ზიათხანოვი, ნოვოროსიისკისა—პ. კ. კალინინი, კავკავისა—მ. მ. ორიოლი, ერევნისა—ი. ფ. ტიგრანოვი და ი. მ. ჩიქოვანი.

მდივნებად: გ. ნ. სტეფანოვი, ა. მ. აივაზოვი, ხასან ბეგ ალიევი, ა. ს. ბეთანოვი, ი. მ. ბუხბინდერი, ი. ლ. კამინსკი, ა. ა. მუხრანსკი, ბ-ნი პოლიაკოვი, ი. ბ. ტერ-მიქაელიანცი და ი. ა. ჩარექოვი.

კრება ნაშუადღევის 2 საათზე დასრულდა. გაგრძელება საღამოს 8 საათისთვის გადაიდო.

## ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ქართულ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲖᲔ

(შემდეგი)

პოეტი იმდენად ღრმად არის დარწმუნებული ღვინის თვისებების სიკარგე-სიძლიერეში, რომ ბოლოს პაფოსით დასძენს:

„ნეტა ვინ მოსთვლის ღვინის ღირსებას,
„მისს ძლიერებას, მისსა თვისებას“?..

ღვინოსთან დაკავშირებულია ყანწი, სუფრა და სხვა; ვინც პირველს ეთაყვანება, უნდა მეორესაც ეტრფოდეს; პოეტიც არა ჰღალატობს ამ აზრს:

„ყანწი მიყვარს მე, სპეტაკად თლილი
„ტურფად მოხრილი, ბოლოში წვრილი“-ო

ამბობს პოეტი თავის ლექსში „ყანწი“, ან და კიდევ:

„კიდენ ყანწსა ვცლი, შევსტყორცნ მოძმეს,
„იგიც მარჯვეა, ფიცხლავ დაიჭერს“!

ამგვარია მეორე ხანა პოეტის ცხოვრებისა, შეიძლება უბრალო მოაკვდავ ადამიანს ამგვარი მდგომარეობა აკმაყოფილებდეს კიდეც, მაგრამ პოეტის სული დაუდალავი მაძიებელია, იგი ერთგვარ ყოფას ვერ შეურიგდება. რაფიელი, რა თქმა უნდა, ხანგრძლივად ვერ მოთავსდებოდა ამგვარ წრეში, მის

## ᲘᲛᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ

(დ. კასრაძის წერილის გამო).

დღევანდელი ჩვენი ცხოვრება, საშინელ არეული და დაწვრილმანებული, სხვათა შორის ერთს სამწუხარო მოვლენას გვიშლის თვალწინ: ჩვენში თითქო ლიტერატურაც არის და კრიტიკაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენში არ არის ისეთი მთლიანი ორგანო, რომელიც ასე თუ ისე ტონს აძლევდეს ლიტერატურის მიმდინარებას. სხვა ერებში ამგვარ როლს დიდი ჟურნალები და საფუძვლიანი გამოცემანი ასრულებენ; ჩვენში ამავე როლს ყოველდღიური გაზეთები კისრულობენ. მაგრამ იკითხავთ: სად შესწევთ გაზეთებს ძალა, რომ თავის ფურცლებზე ესთეტიური და ფილოსოფიური თეორიები გადმოგვიშალონ?! და მართლაც, გაზეთებს შეუძლიათ მოგვცეს მხოლოდ მცირე შენიშვნები; ხოლო ამგვარ შენიშვნებს მაშინ აქვთ ფასი, როცა მათ წინ მიუძღვით (ჟურნალში ან წიგნში) დასაბუთებული წერილები; თუ ეს პირობა დარღვეულია, მაშინ ამგვარ შენიშვნებს სარგებლობის მაგიერ ხანდახან საშინელი არევდარევაც მოაქვთ. ამის მაგალითს აწინდელი ლიტერატურული კრიტიკა წარმოადგენს: არსად გარჩევა; არსად დასაბუთება: მხოლოდ პირადი შთაბეჭდილება და მცირე შენიშვნა.—

ეს გარემოება ლექტორსაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. მაგალითისათვის შორს არ წავალ. მესამე წელი ვადის, რაც ლექციების კითხვას შევუდექი. ჩემს შესახებ ბევრი წერილი დაბეჭდილა: პირადი შთაბეჭდილება, საზოგადოების შთაბეჭდილება და კრიტიკული გარჩევა. პირად შთაბეჭდილებას მაშინ აქვს ფასი, როცა მისი განმცდელი უწყებულ საკითხში ცოტად თუ ბევრად ავტორიტეტად არის მიჩნეული; საზოგადოების შთაბეჭდილება მხოლოდ ქრონიკისთვის არის საჭირო; დარჩა კრიტიკული გარჩევა; ამ მხრივ სამწუხარო სურათი იშლება: სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი ავტორი (არჩილ ჯორჯაძე და დ. უზნაძე) შეეხო დასაბუთებით ჩემს ლექციებს. გულწრფელად ვაცხადებ: კრიტიკა ყველასათვის საჭიროა; საჭიროა იგი ჩემთვისაც; მაგრამ, რას იქმ, როცა იგი არ არის: ყოველთვის ჯორჯაძე და უზნაძე ხომ არ დაესწრება ლექციებს?! საინტერესოა ამ მხრივ დ. კასრაძის წერილი („სახ. გაზ.“ № 310), როგორც ერთგვარი სიმპტომატიური მოვლენა. იგი ახლად გამოსული საგაზეთო მწერალი უნდა იყოს: მე პირველად ვხვდები მის წერილს. მის წერილს კეთილი სურვილი ატყვია; მხოლოდ ისიც უნდა ვსთქვა: კეთილი სურვილი საკმაო არ არის: საჭიროა კიდევ მომზადებაც; ეს კი; ნუ ეწყინება ახალს ავტორს, ძლიერ აკლია მას. მე არ გამოვუდგები მთელს მის წერილს საპასუხოდ: ამისათვის დამჭირდებოდა მისი წერილის სისტემატიური დალაგება და კვალდაკვალ გარჩევა; ეს კი არც ჩემი საქმეა და არც ისე საჭიროა. მე აღვნიშნავ მხოლოდ რამოდენიმე საინტერესო მუხლს.

ერთს ალაგს იგი სწერს: „ფილოსოფიურ თეორიის კრიტიკა, რამდენადაც იგი იმმანენტურია და ლოღიკურად არ არის თანდათანობით განვითარებული, ჰარმონიულ შეზავებული, ყოველთვის გაუგებრობასა და ცალმხრივობას ჰბადეს“. ამ ფრაზაში თავსა ჰყოფს ერთი კითხვა: ნუ თუ ფილოსოფიურ თეორიის იმმანენტური კრიტიკა გაუგებრობასა და ცალმხრივობას ჰბადებს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იმმანენტურია? ეს შეცდომა კი თავისთავად გამომდინარებს ავტორის ფრაზიდან: კრიტიკის იმმანენტურობა და მისი არა ლოღიკურად თანდათანი განვითარება ერთი და იგივე არ არის. მეორე ადგილს იგი სწერს: „ნიცშეს შორეული ესმის, იმას უყვარს ის, იმიტომ რომ გონებით ცოცხლადვე განიცდის მას. მაგრამ ქართველობის თაყვანისცემა არ ყოფილა პირველად ამ განზრახვით აღტყინებული. იგი უფრო მარტივია, ინსტიქტიური და სადა“. სრულებით ვერ გამიგია, რა უნდოდა ეთქვა ავტორს ამ სიტყვებით. მე ვავითარებდი ნიცშეს აზრს, რომ სიყვარული მოჩვენებისა (შორეულისა) უფრო დიადია ვიდრე სიყვარული ყოველდღიური სინამდვილისა (თუ გინდ ემპირიული ადამიანისა), და ამის საილლიუსტრაციოდ მოვიყვანე მაგალითი „ქართველობისა“, როგორც სულიერი მთელისა და ემპირიულად „მოჩვენებისა“, რომლისადმი სიყვარულით რჩეულნი ქართველნი სისასტიკესაც კი სჩადიოდნენ. რანაირად უკავშირებს ამას ავტორი თავის შენიშვნას, ჩემთვის სრულიად გაუგებარია; ან იქნება, ვერ არის მისი აზრი შესაფერ გამოთქმული?! ესეც შესაძლებელია...

მაგრამ დავანებოთ წვრილმანს თავი. მივაქციოთ ყურადღება ავტორის მთავარ შენიშვნებს „ნიცშეიზმია“, ამბობს იგი, მიუხედავად მისი აფორიზმულ ფორმისა, მიუხედავად მისი მეტისმეტი უსისტემობისა, უკვე ჩამოყალიბებულ და ლოღიკურად დასკვნილ ერთს მთელს წარმოადგენს და გამომდინარეობს იმმანენტურ აუცილებლობის გამო მის ძირითად პრინციპებიდან“. აქ მკითხველი უთუოდ შეჩერდება და იკითხავს: რანაირად შეიძლება მეტის-მეტი უსისტემო მოძღვრება ჩამოყალიბებულსა და ლოღიკურად დასკვნილ ერთს მთელს წარმოადგენდეს? მეტისმეტი უსისტემობა და ლოღიკურად ერთს მთელად ჩამოყალიბება ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. ნიცშე არ არის განყენებული მოაზრე; მის მოძღვრებას ამ მხრივ სისტემა აკლია. ნიცშე არის მხატვარი—მოაზრე; ამ მხრივ მის მოძღვრებას თან სდევს მხატვრული მთლიანობა, აფორიზმებში გაყვანილი. ხოლო მხატვრული მთლიანობის აღდგენა განყენებული აზროვნებით და მისი ლოღიკურად ჩამოყალიბება ყოვლად შეუძლებელია. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ ნიცშეს მოძღვრება ერთნაირად თითქმის ორს ადამიანსაც არ ესმის. ნიცშეს მოძღვრების მხოლოდ განცდა შეიძლება, რადგან თვითონ იგი მოძღვრება ერთი დიადი განცდაა. ნიცშემ ამ მხრივ „ნიცშეს პრობლემა“ წამოაყენა, და მხოლოდ მას შეუძლია ჩასწვდეს ამ მოძღვრებას, ვინც იგი პრობლემა განიცადა. ეს განცდა კი უთუოდ ესთეტიური იქნება, და არა განყენებულლოღიკური... სწორედ ეს მქონდა მხედველობაში, როცა ლექციის შესავალში გულახდილ ვაუწყე საზოგადოებას: ჩემი მოთხრობა არ იქნება იმ კითხვის მიგება, თუ რა არის ნიცშე, არამედ იმ კითხვისა, თუ როგორ გადაიჭრა ჩემში ნიცშე...

გავყვეთ ქვეით! ბ-ნი კასრაძე ამბობს: „სათაურით კი „ფრ. ნიცშე“ იგი (ესე იგი, მე გ. რ.) ჩვენ უფრო მეტს გვპირდებოდა, არა ნიცშეიზმის უმნიშვნელო ნაწილის გადმოცემას, არამედ ნიცშეიზმის არსებით თვისებების ობიექტიურად გადმოცემას“. ამ შენიშვნის შესახებ ავტორს შემდეგი უნდა მოვახსენო. პირველი: სათაურს თან ახლდა ყოველთვის პროგრამა, და თუ ამ პროგრამის ფარგლებში ვლაპარაკობდი, ეს ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშლილ ბუნებისათვის ეს წრე მეტად ვიწრო და შემბოჭველი იყო, და მან გადალახა იგი.

აქ პოეტი თვალსაჩინოდ უხვევს იმ ცხოვრების გზიდან, რომელიც მან პირველ ორ ხანაში გაიარა. ბევრი ტკივილი აგრძნობინა მას ამ განვლილმა გზამ, იმიტომ რომ მარტოდ-მარტო მგზავრობდა, მეგობარი არავინა ჰყავდა. სატრფო მას არ თანაუგრძნობდა, მოძმესათვის იგი გაუგებარი რჩებოდა.

ამდენად უმიზნო და უაზრო იყო მისი გარიყული ცხოვრება, სანამ მას მხოლოდ თავისი „მე“ აინტერესებდა, სანამ იგი თავისი „მე“-ს დაკმაყოფილება—გამარჯვებისათვის იბრძოდა, სანამ იგი ვიწრო ინდივიდუალისტი იყო; მაგრამ ცუდად მოეწყო მისი ცხოვრება, ვერ დაკმაყოფილდა მისი „მე“-ს მოთხოვნილებები და მძიმე დარდი, ოხვრა და სევდა შეიქმნა მისი მეგობარი. მთელ ამ ხნის განმავლობაში მისი „მე“ განსაზღვრულია, მისი მისწრაფება და მიზანი ინდივიდუალური. ამ სფეროში, როგორც ინდივიდუალურ გრძნობათა გამომხატველი, პოეტი სუსტია.

მაგრამ იგი იმდენად ძლიერი ხდება, რამდენადაც თავის ინდივიდუალიზმს სტოვებს და უნივერსალობისაკენ გადადის; განსაზღვრულ, პიროვნულ გრძნობების ნაცვლად, განყენებული, საზოგადოებრივი აზრები და გრძნობები ილვიძებს მასში.

არ შევჩერდები გარდამავალ ხანაზე, როდესაც რაფიელმა სახელი გაითქვა, როგორც საუკეთესო მთარგმნელმა იგავ-არაკებისა, სცენებისა და სხვა.

გადავდივართ მესამე ხანაზე.

ეს ხანა, როგორც თავში ვსთქვი, დანარჩენ ხანაზე უფრო მდიდარია შინაარსით და შემოქმედებით კი ყველაზე უფრო ძლიერი; თუ ჩვენთვის ძვირფასია რაფიელის სახელი, თუ ის საზოგადოდ პოპულიარულია, მხოლოდ ამ ხანის წყალობით. სწორედ ამ ხანებში შეიქმნა იგი ჩვენი ხალხის გულის მესაიდუმლე, მისი ავ-კარგის მოჭირნახულე და სრული მისი ჭირისუფალი.

არა მგონია, რომ რომელიმე ჩვენ მწერალს ისე თამამად ეწოდოს ნამდვილი „ხალხური მწერალი“ როგორც თავ. რაფიელ ერისთავს.

ამ ხალხთან რაფიელი უცებ არ მისულა, დიდი და ძნელი იყო მისი გზა.

დასტოვა მან თავისი ვიწრო ინდივიდუალური შეხედულება. გადავიდა განყენებულ, უნივერსალურ გრძნობაზე. ეს გრძნობა ყველაზე უფრო ფართედ ჩამოსხმულია სამშობლოს სიყვარულის სახით, და პოეტმა უწინ მას მოავლო ხელი:

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლება სხვაზედა.
„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..“

სამშობლო პოეტს უყვარს, მაგრამ ეს სიყვარული რაღაც ბუნდოვანია, განყენებული, მას სურს ეს სიყვარული გასაგებად ჰყოს, კონკრეტულად გამოჰხატოს.

აქ ის არჩევს სამშობლოს შვილებიდან სხვადასხვა ელემენტს, სხვადასხვა ჯგუფს, წოდებას. მისთვის, როგორც ნამდვილი პატრიოტისათვის, სამშობლოს კეთილდღეობის მოტრფიალესათვის, საინტერესოა ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც უფრო ჯანმრთელი და საღია; ჩვენი მომავალი კეთილდღეობა სწორედ ამ საღ საძირკველზე უნდა აშენდეს.

რაფიელის დროს შეიძლებოდა მხოლოდ წოდებრივი დიფერენციაცია, საზოგადოებრივი კლასები მაშინ არ არსებობდა ჩვენში; წოდებრივად კი ორ ნაწილად განიყოფებოდა ჩვენი ერი: თავად-აზნაურობა და გლეხობა.

თავად-აზნაურობას შეიძლება ერთხელ ჰქონდა ბევრი დადებითი მხარეები, შეიძლება ერთხელ იგი სიამაყეც იყო ჩვენი ერისა, მაგრამ იგი თანდასთან ძირს დაეშვა. უზრუნველმა ცხოვრებამ შეაძულა მას დაუღალავი შრომა, ფიქრი და გარჯა. ძველი სააკაძეების და დადიანების ნაცვლად ხელში შევრჩა „თათქარიძეები“. ის თათქარიძეები, რომლის ერთი შეხედვა, გოგოლისა არ იყოს, გაფიქრებინებს: „Ох, как страшно за человѣчество“. ამ თათქარიძეების ცქერამ გული გაუწყალა ჩვენს მეორე პოეტს და კინაღამ სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა იგი; „რაღა ხართ?.. **ლანდად** ქცეულხართ ძველად **ლომგულნი, გმირები**“-ო... შესჩივლებს ბრაზმორეული პოეტი ბუზების მთვლელ თათქარიძეებს, რომელნიც მთელი ნახევარი საუკუნე მხოლოდ იმიტომ ცხოვრობენ, რომ ჰაერი მოშხამონ და შემდეგ კიდევ „შესანდობლად და საბოდიშოდ გაიხადონ საქმე“. *)

ასეთს კონტრასტს ძველსა და ახალის შორის რაფიელიც ნათლად გვიხატავს ლექსში: „მგზავრები“. აი მოკლე შინაარსი ამ ლექსისა: ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ თავადებს არ უნდა შეურიგდნენ ახალ რეფორმებს, ისევ ძველს ეპოტინებიან და ამით, რა თქმა უნდა, უფრო სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან. ერთხელ თავადი გზაში გლეხებს შეხვდება. უკანასკნელნი მოწიწებით თავს უკრავენ და სალამს უძღვნიან, ბრაზმორეული თავადი აინუნშიაც არ იგდებს სალამს, და როცა გლეხები უკმაყოფილებას განაცხადებენ, უპასუხებს:

„გუშინ არ იყო, თავს მადგენ თქვენგვარი ქალმებიანი“?.

ამაზე პოეტი გლეხების სახით მიუგებს:

,,არა ძმობილო, ის კაცი სხვა კაცი იყო ყმიანი,
,,ის კაცი შენ არა გგვანდა,—მზნე იყო, ზრდილი, ღვთიანი,
,,ბატონი ყმასა მამობდა, ყმა შვილიც ახლდა სვიანი!‘‘

ასეთი იყო იმ დროის თავად-აზნაურობა; არაფერ სანუგეშოს იგი არ წარმოადგენდა და პატრიოტიც მას პოტინს არ დაუწყებდა, რათა მის ზურგზე აეშენებინა ჩვენი ერის მომავალი. რაფიელმა კარგად იცოდა, რომ ეს წოდება იყო საზოგადოებისათვის მავნე, ხორც-მეტი და მან უცებ იბრუნა პირი მშრომელი ხალხისაკენ. მან დასტოვა მაღალი წოდება, დაარღვია ძველი შეხედულებანი, ტრადიციები და, როგორც მისი პირმშო შვილი, ისე მივიდა მშრომელ ხალხთან, გლეხებთან, და იგი შეიქმნა ნამდვილი ხალხური პოეტი. პოეტს მთელის არსებით შეუყვარდა უბრალო გლეხი, თავისი ჭირ-ვარამით, დღიურის ზრუნვით, სიმხნით. მაგრამ იგი ამით როდი კმაყოფილდებოდა, მას უნდოდა ჩვენთვისაც სიყვარულის საგნად გაეხადა იგი.

აქ პოეტს შეეძლო ორ გზაში ერთის არჩევა. მას, ამ მიზნისათვის, ან უნდა დაეხატა გლეხის აუტანელი მდგომარეობა, მისი კვნესა, მუდმივი ტანჯვა, პირუტყვული ცხოვრება, როგორც მოიქცა ი. ჭავჭავაძე („ერთ ბედ ქვეშა ვართ ლაბავ მე და შენ, წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ“. ან და:

„მერწმუნე ლაბავ, შენი უღელი, ჩემს უღელზედა არ არის მძიმე“. ანდა იხ. მისი ლექსი „მუშა“ და მრავალი სხვა) და ამით ჩვენში **სიბრალული** და თანაგრძნობა აღძრა ამ დაბეჩავებულთა მიმართ. ან არა და უნდა მოქცეულიყო იმგვარად, როგორადაც მოიქცა რუსეთის ხალხური პოეტი კოლცოვი და რამდენიმედ ტურგენევი თავის „მონადირის წერილებ“-ში; უკანასკნელმა გლეხის ცხოვრებაში აუარებელი ნათელი მხიარული და დადებითი თვისებანი დაგვანახვეს; დაგვანახვეს, რომ გლეხი მხეცი არ არის, რომ ის თავის ბუნებრიობით, გულწრფელობით, დაუღალავის შრომით ბევრად უფრო მაღლა სდგას მინემ ზოგიერთი სხვა წოდების ნაწილი. ამით მათ დაგვაახლოვეს უბრალო გლეხს და **შეგვაყვარეს** იგი.

რაფიელმა არც ერთი გზა არ უარჰყო, მისი ღირსება სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მან ეს ორგვარი მიმდინარეობა ერთ კალაპოტში ჩამოაყალიბა. მან შეარიგა ილია და აკაკი, კოლცოვი და ნეკრასოვი. მან შეაზავა სიყვარული და სიბრალული.

შინაარსის და ენის მხრით მდიდარია და მარტივი გასაგები, როგორც პირველი ხასიათის ლექსები, ისე მეორესიც. როგორცა ვსთქვი, რაფიელი ნეკრასოვიც არის და კოლცოვიც. ნეკრასოვს ღრმად სწამდა, რომ „საცა ხალხია, იქ კვნესაც ისმის“ და სწორედ ეს კვნესა აფიქრებდა მას, ის სოციალურ სფეროში გადადიოდა და იქიდან ჰგმობდა ცხოვრების უკუღმართობას, რომელიც შედეგი იყო გლეხის ეკონომიური და პოლიტიკური მონებისა.

ამ საკითხს, სწორედ ამ მხრით, არა ერთხელ შეჰხებია ჩვენი მცხოვანი პოეტი რაფიელი.

(შემდეგი იქნება)

*) ,,კაცია-ადამიანი!?‘‘ ილ. ჭავჭავაძის.

# ნუ დაიშურებთ დახმარებას

მეტად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა გაზეთმა: ძველი სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის შენობა დაიწვაო! სამწუხარო და სავალალო ის კი არ არის, რომ სკოლის შენობა დაიწვა, სამწუხარო ისაა, რომ შენობასთან ერთად სკოლის მთელი ქონება ერთიანად გადაბუგულა და ამას ზედ დართვია სკოლის გამგის ბ. ოყროშიძის მთელი ქონებაც. ასე რომ მისი ოჯახობა ღვთის ანაბარა დარჩენილა. რაც ოცდა რვა წლის განმავლობაში ადამიანის მზრუნველს ხელს შეექმნა, ის ორიოდე საათის განმავლობაში უმოწყალო სტიქიონს უმსხვერპლია.

ვინც დაახლოვებით იცნობდა ამ სკოლას, დამეთანხმება, რომ ზარალი არა ნაკლებ 25 ათას მანეთისაა აქვს თვით სკოლასა; ხოლო ბ-ნ გამგის ზარალი კიდევ სხვაა. სკოლას აღარ დარჩენია, არც სტოლი, არც სკამი, არც რაიმე სხვა ნივთი, წიგნები, სურათები და სხვა დასხვა, და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ შავბნელ დროს ამ მდიდარ კუთხეში ერთად ერთ დარაჯად ამაყად ედგა სამშობლო ენას და მისი წყალობით არა ერთი კარგი და კეთილი საქმე გარიგებულა და გაკეთებულა. ეს სკოლა მთელს ორს მაზრას აძლევდა საშუალებას—თავისი ბავშვები დედა-ენის ნიადაგზე აღეზარდნათ და ამ რიგად საღი სულიერი საზრდო მიეცათ. თუ რამდენად პირნათლად ასრულებდნენ მასწავლებელნი თავისს წმინდა მოვალეობას, ამაზე არას ვიტყვი, რადგანაც დიდს ხანს ამ სკოლაში მეც სხვებთან ერთად ვმუშაობდი, მხოლოდ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ქუთაისის ქართული გიმნაზია, სადაც ყოველ წლივ ძველი სენაკიდგან გადადიოდა 15—20 მოსწავლე, ყოველთვის კარგი აზრისა იყო ამ სკოლაზე. მაგრამ ავად ასრულებდნენ მასწავლებელნი თავიანთ საქმეს, თუ კარგად, ეს სულ სხვა საკითხია, ხოლო სკოლის სარგებლობის უარყოფას ჰკუათა მყოფელი აღარ იკისრებს.

სწორედ ამისთანა უბედურობის დროს თვითეული ჩვენგანი ვალდებულია, რითაც შეიძლება, დახმარების ხელი გაუწოდოს უმოწყალო სტიქიონის მიერ მიწასთან გასწორებულს სკოლას და მისცეს საშუალება ფეხზე დააყენონ მისმა ხელმძღვანელებმა. ყოველმა ჩვენგანმა თავს ვალად იდვას თითო-ორი გროში, გინდ წიგნი, სურათი შეაგროვოს ნაცნობ-მეგობართა შორის ამ სკოლის სასარგებლოდ და ჩვენ ვეცა კი შევიტყობთ, სკოლა ისე განახლდება და გაორკეცებული ძალღონით შეუდგება თავისს წმინდა მოვალეობის ასრულებას. მაშ ასე, შეუდგეთ საქმეს, ცოტა ოდენი მხნეობა და უნარი გამოვიჩინოთ მით უფრო მეტი უნარი უნდა გამოვიჩინოთ ამ სკოლის ყოფილი მოსწავლეებმა რომელნიც ყოველგან არიან გაფანტულნი და მით საშუალება მისცენ ხელ-ახლა ნაყოფიერ მუშაობას შეუდგეს.

რაც შეეხება მეგრელთა შიშს, ვაი თუ თავად-აზნაურობამ ამ გარემოებით ისარგებლოს და სკოლა დახუროსო, ეს სრულიად უსაფუძლო შიშია და ამაზე ლაპარაკიც მეტია.

მაშ, მკითხველნო, ნუ დაიშურებთ, დახმარებას ამ მეტად სიმპატიურ დაწესებულების ფეხზე დასაყენებლად.

ნიკო ჯანაშია.

# ალბანეთის აჯანყება

## დეპეშები

25 მაისი.

**ცეტინიე.** როგორც ამბობენ, ალბანელთა ცენტრალური კომიტეტი კულმულ კარფუზე უნდა იყოს, იქ, სადაც იარაღის საწყობი აქვთ მეორე საწყობი კუნძულ კალომოტტაზეა რაგუზას ახლო. ბარში იტალიელების ესკადრა სდგას. ესკადრაში 12 დიდი და მრავალი წვრილი სამხედრო გემებია. ამ ესკადრის აქ მოსვლა მირიდიტელების აჯანყებამ გამოიწვია ეს აჯანყება ოსმალებისათვის მოულოდნელი არ იყო. თურღუდ-ფაშას წინდაწინვე ჰქონდა შეტყობილი მათი ამბავი და სკუტარში რამდენიმე ბატალიონი დასტოვა; ეს ჯარი ეხლა ალესიისაკენ გაემართა. ოსმალებმა 800 მირიდიტელი ალესიიდან გარეკეს, მერე უკან გაჰყვნენ და გაჰფანტეს. ოსმალები ირწმუნებიან მირიდიტელებს მალე მთლად დავამარცხებთო. ალესიასთან შეკრებილ ალბანელებს გავფანტავთ. მთებზე გავრეკთ და ზღვისაკენ გზას მოვუჭრით, რომ იქიდან დახმარება ვეღარ მიიღონო. სკუტარის ვილაეტში საკმარისი ჯარი გვყავს და აჯანყებას ადვილად გაუსწორდებითო. დროებითი მთავრობა მათი აზრით შემთხვევითია, იგი მირიდიტელების გაერთიანებას ვერ მოახერხებს. მირიდიტელების აჯანყებამ დაამტკიცა, თუ რამდენად მართალნი ვიყავით, როდესაც სკუტარის ტბის სამხრეთით ჯარს ვაგროვებდით, ეხლა ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ეს ჩერნოგორიის საწინააღმდეგოდ არ გვიქნიაო

**ცეტინიე.** თურღუთ-ფაშის ჯარის სამხრეთის ფრთას დილიდანვე ბრძოლა აუტყდა. ოსმალებმა ტარაბოსის მთაზე იერიში მიიტანეს. მოსაზღვრე ჯარები იტყობინებიან, რომ თოფისა და ზარბაზნის სროლა ჯერ არ შეჩერებულა. ალბანელებმა თავიანთი პოზიციები შეინარჩუნეს.

**მონასტერი.** დებრიის ოლქის ალბანელების ცხვარზე გაწერილ გადასახადის გალებაზე უარი სთქვეს. შეტაკების დროს მოჰკლეს ბოლგარელი აფიცერი ბლაჟო ბირინაცი.

**ცეტინიე.** ოსმალების ჯარს მთელი დღე მიჰქონდა იერიში მალისორელებზე. ჰუსეინიეს ჯარმა კლიმენტელები პოზიციებიდან გარეკა და სელცას მოაშორა.

ალბანეთის პრეზიდენტად გამოცხადებული ტოცცი იტალიის ქვეშევრდომია. დაბადებული კალაბრიის ერთ სოფელში.

ამბობენ, რომ ერთმა ხომალდმა, რომელზედაც სამხედრო რაზმი იყო 10.000 თოფი და აუარებელი პატრონა მოიტანაო. მირიდიტელებმა ოსმალეთის ყარაულები დაამარცხეს, ხომალდიდან იარაღი გადმოიღეს და მთას შეეფარნენო.

**რომი.** დეპუტატთა პალატაში რესპუბლიკანელმა კიოზამ უკიდურეს მემარცხენეთა სახელით წინადადება შეიტანა, მიიღონ რეზოლიუცია, რომელიც მთავრობას ავალებს საერთაშორისო საქმეებში ენერგიულად ჩარევას და ალბანიის მდგომარეობისათვის ბერლინის ტრაქტატის ნორმები მოიხმაროსო.

## გაზეთებიდან.

ალბანელთა მეთაური ისსა ბოლეტინაცი, სოფელ ბელიაიში სცხოვრობს თურმე. ეს სოფელი დენაჩის მონასტრიდან ორი საათის სავალზეა დაშორებული. ისსა განმარტოებითა სცხოვრობს. ერთგული ალბანელები ჰყარაულობენ და ვისაც კი იარაღი აქვს ახლოს არ უშვებენ. ბოლეტინაცი უცდის როდის მოვა სულთანი კოსსოვოში. მაშინ გამოირკვევა, თუ რა გზას დაადგება ისსა. შეიძლება ან ისევ ალბანელებს დაუბრუნდეს ან ოსმალების მხარეზე გადავიდეს. ავსტრიელ აგენტებს ბოლეტინაცთან შეუწყვეტელი დამოკიდებულება აქვთ.

# უცხოეთი

## პორტუგალია.

მალე ერთი წელიწადი შესრულდება, რაც პორტუგალიაში სახელმწიფო წყობილება შეიცვალა, მაგრამ ქვეყანა ჯერ რიგიანად არ დამშვიდებულა. არ ისვენებენ ძველ წყობილების მომხრენი, ანუ როიალისტები. თუმცა მათ სიტყვას დიდი გასავალი აღარა აქვს, მაგრამ მაინც იმედს არა ჰკარგავენ და ძველ დროების მობრუნებასა სცდილობენ. რის იმედი აქვთ, რიგიანად არავინ იცის. უცხო სახელმწიფონი მხარს არ უჭერენ. რომის ბატონმა პაპმა დიდი ხანია თავისი წინანდელი სიძლიერე დაჰკარგა, ხალხში თუ ჰპოულობენ თითო ოროლა მომხრეს, სამაგიეროდ ჯარი მათ არ ემხრობა. როიალისტები მომხრეთა საშოვნელად ჩვეულებრივ ასე იქცევიან: ის პირნი, რომელთაც რესტავრაციის ემისარები ბლომა ფულს ურიგებენ, მიდიან მემამულეებთან, ნეგოციანტებთან და სხვებთან და „დიდი საიდუმლოებით“ უმჟღავნებენ, რომ მონარქისტების მხარეზე რამდენიმე მეცხოვნე ჯარიაო და კონტრ-რევოლიუციაც ახლოა. მას ძარცვა-გლეჯა, კაცის კვლა და გაფიცვა მოჰყვებაო. აღარ მუშაობს აღარც რკინის გზა, აღარც ელექტრონი და სხ. მრავალი მშვიდობიანობის მოყვარე ოჯახი ამ „ხმებს“ უჯერებს. მდიდარი ოჯახი ბევრი გავიდა პორტუგალიიდან, „დროებით“, რასაკვირველია. მათი წასვლა ვაჭრობაზე ცუდად მოქმედობს და უმუშევართაც ამრავლებს. როიალისტების ბრალია, რომ ამ ბოლო დროს პორტუგალიაში გაფიცვები გახშირდა, მაგრამ მათ მოქმედებას დიდი ნაყოფი არ მოაქვს. ვერც მოიტანს. მათ მხარს არავინ უჭერს. როცა ისპანიის ყოფილმა მეფემ ემანუილმა ევროპას დახმარება სთხოვა, ორმა დიდმა სახელმწიფომ შემოუთვალესო, უთქვამს პორტუგალიის პრეზიდენტს თეოფილე ბრაგას, რომ გაუქმებულ ტახტის აღდგენა ფიქრითაც კი შეუძლებელიაო. მართლაც და წავიდა ის დრო, როდესაც „წმინდა კავშირი“ ლუი XVIII ტახტს უბრუნებდა. ჩვენ დროში ხალხის განაჩენი აბდულ ჰამიდის, მაჰმედ-ალის და მანუელის წინააღმდეგ გამოტანილი უცხოელთა რევიზიას აღარ ექვემდებარება. პორტუგალიის მთავრობა ეხლა დარწმუნებულია, რომ როცა მათი

კლიად სრულებით არ ჩამეთვლება; მეორე: ამ პროგრამის ფარგალში მოქცეული კითხვები უმნიშვნელო კი არა, უმთავრესი რამაა ნიცშეს მოძღვრების შეგნებისათვის, და შეძლებისამებრ ლექციაში ამას ვანვითარებდი. ავტორს ეს უმნიშვნელოდ ჰგონია, და მის მაგიერ, რომ დაამტკიცოს წინააღმდეგი, რამოდენიმეჯერ იმეორებს ამას სრულიად უსაფუძვლოდ. აი, რასა სწერს იგი ერთს ადგილს: „ნიცშეს გასაგებად სრულიადაც არ იყო საჭირო ნირვანასი და აპოლლო-დიონისოს კულტების გახსენება. ეს უფრო მეტს ბუნდოვანობას ჰბადებს“. შემდეგ მოგვითხრობს: კრიტიკოსები (რომელნი? საჭიროა ყოველთვის დასახელება. გ. რ.) ნიცშეს წინამორბედად უფრო სოფისტებს ასახელებენო; მერე აღორძინების ხანა, „შტურმ უნდ დრანგის“ ეპოქა, მაქს შტირნერი, შოპენჰაუერი და დარვინი... როგორც ლექციაში განვმარტე, ნიცშეს გასაგებად სწორედ დიონისოსა და აპოლლოს კულტის ფილოსოფიური ახსნაა საჭირო. ვისაც წაუკითხავს ნიცშეს „წარმოშობა ტრაგედიისა მუსიკის სულისაგან“, იგი გვერდს ვერ აუხვევს ამ ორ დასაწყისს ელლინთა კულტურისას. და არ არსებობს არც ერთი მნიშვნელოვანი მკვლევარი ნიცშესი, რომელიც ასე თუ ისე ანგარიშს არ უწევდეს ამ ორ დასაწყისს. მე ავიღე ეს ორი დასაწყისი და ნიცშეს მოძღვრება გავხსენი „დიონისოსა და აპოლლოს შუა“. ვისაც სურს ჩემი დებულების დარღვევა, მან ყოვლის უწინარეს კრიტიკის ცეცხლში უნდა გაატაროს სწორედ ამ დებულების განვითარება; თორემ უბრალო შენიშვნა უსარგებლო და უსაფუძვლო გამოვა. ამითვე აიხსნება ის გარემოებაც, თუ რად არ ავიღე მე შოპენჰაუერი სავსებით ნიცშეს მოძღვრების განვითარებაში; მე მაინტერესებდა მხოლოდ შოპენჰაუერის ინტუიცია მუსიკის შესახებ, რადგან ნიცშეს „მუსიკალურ განცდაში“ ვპოულობ გამოსაკვლევ მუხლს მისი მოძღვრებისას. ამით ვხსნა სხვადასხვა იდეის წარმოშობა-განვითარებას: იდეა მარადის მობრუნებისა, იდეა „ძალადობისა“ (ნება ძალისადმი), იდეა შორეულის სიყვარულისა და იდეა ზესთადამიანისა. ბ-ნი კასრაძე ერთი სიტყვითაც არ ეხება მას, მართლა ასეა წარმოშობილნი ეს იდეანი თუ არა; ამის მაგიერ იგი იმეორებს იმ ჩვეულ აზრს, ვითომ იდეა ზესთ-ადამიანისა „ევოლიუციონური სკოლის გავლენით, განსაკუთრებით დარვინის წყალობით“ წარმოშობილიყო.. მე სრულიად არა ვარ წინააღმდეგი ამგვარი ახსნისა, მაგრამ თახვე დავსძენ, რომ ევოლიუციონური თეორია შემთხვევით დაერთო ნიცშეს მუსიკალურ შენებაში წარმოშობილ იდეას ზესთადამიანისას.. ერთი სიტყვით, ჩემი აზრით ნიცშეს მოძღვრება „დიონისოსა და აპოლლოს შუა“ ტრიალებს. დაარღვიეთ ეს დებულება, დაარღვიეთ მეცნიერული საბუთებით,-და შემდეგ თქვენი საკუთარი აზრი შეგიძლიათ თუ გინდ უბრალო შენიშვნებითაც გამოთქვათ.

აქ უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი რამ. მე ავიღე მთავარი ხაზი ნიცშეს მოძღვრებისა, და ამისათვის გვერდი ავუხვიე მრავალს სხვა საკითხებს: ნიცშე და ვაგნერი ნიცშე და ქრისტიანობა, ნიცშე და მორალი და სხ.. ეს განზრახ ვქენი, რადგან ერთს საღამოს ყოვლად შეუძლებელია ნიცშეს მთელად გადმოცემა. მე მინდოდა მხოლოდ საიდუმლო გასაღები მომენახა ნიცშეს მოძღვრების გამგებისათვის, და მთელი ჩემი ლექცია სწორეთ ამ საიდუმლო გასაღების ძიებაზეა აგებული. კრიტიკის საქმეა—გარჩიოს, ნამდვილია ეს მეთოდი თუ არა; და სანამ ამ მეთოდის უვარგისობას არ დაამტკიცებენ, მანამდე ჩემი ძიებაც შეურყეველი დარჩება..

აქ მინდოდა წერტილი დამესვა, მაგრამ საჭიროდ ვსცანი მიეთითებინა მკითხველისათვის, თუ როგორ უცნაურაა ესმის თვითონ დ. კასრაძეს ფრ. ნიცშე. იგი სწერს: „თუ ნიცშემ შექმნა თავისებური მწერლობა, თუ მის გენიის ცეცხლსა ხედავთ ჰაოპტმანის, ზუდერმანის, გალბესა, თუ მეტერლინკ-დ’ანნუნციო-სტრინბერგ-ბრანდესებში, თუ კი მხატვრებიც ნიცშეს ნაღველს ფერადებად ხმარობენ, ეს იმიტომ კი არა, რომ ასეთ ყურძოკრულ სიტყვათა ლექსიკონით ეწეროთ თავიანთ შემოქმედების პირმშო შვილნი, არამედ იმიტომ, რომ სულითა და ხორცით ეზიარნენ ნიცშეს მოძღვრებას, შეისისხლხორცეს იგი და ღირსეული მოწაფენიც გახდენ მისი“. კითხულობ ამ სტრიქონებსა და გიკვირს: რა სულიერი კავშირია ნიცშესა და დასახელებულ მწერლებ შორის? რა აქვთ საერთო ნიცშესთან: ზუდერმანს, და ანუნციოს, მეტერლინკს, სტრინბერგს?! სანამ დ. კასრაძე ამ სულიერ კავშირს მკითხველს თვალწინ არ გადაუშლის, თუ რაში მდგომარეობს იგი, მანამდე თვითონ მისი სიტყვები დარჩება სწორედ „ყურმოკრულ სიტყვათა ლექსიკონად.“

გრ. რობაქიძე.

დამფუძნებელი კრება თავის მუშაობას დაასრულებს და კონსტიტუციის შეიმუშავებს უცხო სახელმწიფონი დაადასტურებენ თუ რა ძალა აქვს რომის ბატონს პაპის, ეს იქიდანაც კარგადა სჩანს, რომ პორტუგალიის ახალმა მთავრობამ ეკლესია სახელმწიფოს გამოჰყო. მართალია პაპამ ამის წინააღმდეგ ენციკლიკა გამოსცა, მაგრამ ის დროც წავიდა, როცა პაპის ენციკლიკებსა და ბულებს ევროპაში ისევე უფრთხოდნენ, როგორც ეხლანდელ სახელმწიფოთა ნოტებს. ამ ენციკლიკით პაპიმ მხოლოდ სინანული გამოსთქვა პორტუგალიის მთავრობის საქციელზე: მან განაცხადა, ამ კანონს არ მივიღებთ და პორტუგალიელ სამღვდელოებას ურჩია: ნუ დაემორჩილდებითო. პორტუგალიის სამღვდელოება ორ ნაწილად გაიყო. ეპისკოპოსებმა მართალია წინააღმდეგობა გაუწიეს ე. ი. პროტესტი განაცხადეს და სამღვდელოების ერთი ნაწილიც მიიმხრეს, მაგრამ პორტუგალიაში რესპუბლიკანელი მღვდელიც ძალიან ბევრია. დროებით მთავრობას ემუქრებიან ეკლესიებს გავაუქმებთო, მაგრამ მას ამისი არ ეშინიან. როგორც პრეზიდენტს განუცხადებია, მთავრობას ამისთანა შემთხვევისათვის უკვე მზადა ჰქონია საერო კრებულთა პროექტი. საყდრებს ამ კრებულთ გადავცემთ და იმედი გვაქვს, რომ რესპუბლიკანელი მღვდლები დაგვეხმარებიან და თავისუფალ ეკლესიას შევქმნითო, უთქვამს პრეზიდენტს. ამ რიგად, როგორც ვხედავთ, როიალისტებს აღარაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. გაიძახიან „ჩრდილოეთი“ ჩვენიაო (ე. ი. ჩრდილოეთი პროვინციები); მართალია, ჩრდილოეთი ნაკლებ განვითარებულია, იქ ფანატიზმი ადვილად იმოქმედებს, რადგანაც წერა-კითხვის მცოდნენიც კი ნაკლებადაა, მაგრამ მთავრობა ამბობს, ამას არჩევნები გვიჩვენებსო. ჯერ-ჯერობით არჩევნებში რესპუბლიკანელები იმარჯვებენ. პორტუგალიის შუა-გულმა რესპუბლიკანელები აირჩია. მომავალ დამფუძნებელ კრებისათვის, კონსტიტუციის სამი პროექტია შედგენილი. ერთი ეხლანდელ პრეზიდენტს თეოფილე ბრაგას ეკუთვნის, ერთი კოსტას, ერთიც ფინანსთა მინისტრს ნოზე რივალსს. პრეზიდენტის პროექტი 300 გვერდზეა დაწერილი და 4 განყოფილებადაა გაყოფილი. ამ პროექტის ძალით საარჩევნო ხმის უფლება ეძლევა 21 წლის ყველა მოქალაქეს, ვინც კი წერა-კითხვა იცის; პროექტი ერთი პალატის მომხრეა. პალატაში 135 დეპუტატი უნდა იყოს 3 წლის ვადით. პრეზიდენტი 5 წლის ვადით ირჩევა და მარტო იმიტომ კი არ იქნება არჩეული, რომ დეკრეტებს ხელი მოაწეროს, იგი პარტიის მეთაური უნდა იყოს. სამინისტროს პრეზიდენტი შეადგენს, მაგრამ ამისათვის იგი პალატის უმრავლესობას უნდა მოელაპარაკოს ხოლმე. სამინისტროს შეცვლაც პრეზიდენტზე იქნება დამოკიდებული. პალატის დადგენილებას იგი სამუდამოდ ვერ გააუქმებს, მაგრამ უფლება ექნება ყოველივე კანონ-პროექტი 3 კვირით შეაჩეროს და პალატას მისი ხელ-ახლად განხილვა მოსთხოვოს. ასეთია ახლანდელ პრეზიდენტის მიერ შედგენილი პროექტი მომავალ კონსტიტუციისა. ეხლანდელი მთავრობა კი დამფუძნებელ კრებისათვის თავის მოქმედების ანგარიშს და იმ რეფორმებთა სიას წარადგენს, რომელიც მისის აზრით პირველ ხანად უნდა განხორციელდეს.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

25 მაისი.

## საზღვარ-გარედ

**პარიზი.** ობის დეპარტამენტის მედვინეები სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილონი არიან და ხელ ახლად დაიწყეს მანიფესტაციების მართვა. სადამოთი ჟანდარმები იძულებულნი იქმნენ ბრბო დაეშალათ. დაიჭრა ერთი ლეიტენანტი და ორი ჟანდარმი.

**ბარ-სიურ-ობი.** აქ დიდი აღელვებაა. მედვინეები მიდამოებიდან ქალაქს მიდიან. ყველა საფაჭრო, მთავრობის ბრძანებით, დაკეტილია. მედვინეებს, ქალაქში რომ მოვიდნენ, ქუჩები ჯარებით სავსე დახვდათ. ამიტომ ნელ-ნელა დაიშალნენ. სადამოთი სიწყნარე ჩამოვარდა.

**პარიზი.** ალკასარიდან იტყობინებიან, კაპიტანმა მთრომ აგიტატორი ტაცია დაამარცხა და თან დიდი ზარალი მიაყენა.

**სტოკჰოლმი.** შვეციაში, ორს ადგილას ცეცხლმა 1.200 გექტარი ტყე გაანადგურა.

**ტ ნჟერი.** მუანიეს რაზმი 20 მაისს მეკის ნაპირებზე მაროკოელებს 8 საათს ებრძოდა. მაროკოელებმა ბევრი დაჰკარგეს. ფრანგებს მოუკლეს 8 სალდათი, დაუჭრეს 13. 21 მაისს, დამე ფრანგებს მაროკოელები ხელ ახლა დაესხნენ.

**პარიზი.** 7 ივნისში მოსამსახურეთა საერთაშორისო კონგრესმა დაადგინა, დააარსოს საერთაშორისო კონფედერაცია. კონგრესში მონაწილეობს საფრანგეთი, ინგლისი, ბოლგარია და იტალია.

**პარიზი.** გარდაიცვალა სენატორი რუვიე, ყოფილი მინისტრ პრეზიდენტი.

**მ ქსიკა.** მადერო ქალაქს შემოვიდა ხალხი აღტაცებით უხვდება.

**სტამბოლი.** სარაფოვმა დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს უთხრა, საზღვრებზე მომხდარი უთანხმოება ოსმალეთ ბოლგარიის შერეულმა კომისიამ უნდა გამოარკვიოსო. სარაფოვს იმედი აქვს, რომ საქმე მორიგებით გათავდება.

**პარიზი.** ფალიერმა ხელი მოაწერა სახელმწიფო საბჭოს დადგენილებას, რომელიც შამპანიურ ღვინის მწარმოებელ ოლქის გაყოფას შეეხება. მთავრობას აზრადა აქვს შეიტანოს კანონ-პროექტი, რომელიც უკმაყოფილო მწარმოებელთ ნებას მისცემს მთავრობას სასამართლოში უჩივლოს, თუ კი ეს გაყოფა მას ზარალს მიაყენებს.

**მეკსიკა.** მიწის ძვრამ დაანგრია რამდენიმე სახლი და არტილერისტთა ყაზარმა. 70 სალდათი დაიღუპა. დასახიჩრებულთა და დახოცილთა რიცხვი ქალაქის სხვა ადგილებში 70 მეტია.

**სტამბოლი.** მთავრობამ სენატის რედაქციით სულთანს ხელის მოსაწერად წარუდგინა ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი; ამან პალატა გააბრაზა. იგი იმუქრება, შემოდგომის სესიას იმით დავიწყებთ, რომ კაბინეტის სასამართლოში მიცემას მოვითხოვთო.

## რ უ ს ე თ ი

**ოდესა.** უნივერსიტეტის კლინიკაში პროფესორმა ლევაშევმა „606“ უქმურზე სცადა. წამალმა ამ ავადმყოფობაზე მშვენივრად იმოქმედა.

**არხანგელსკი.** გაიხსნა გუბერნიის ბეითალთა პირველი კრება.

**ხარკოვი.** ქალაქის შუა-გულში დამე ეკლესია გაძარცვეს.

**პეტერბურგი.** სამხედრო მინისტრი შორეულ-აღმოსავლეთიდან დაბრუნდა.

**ადესა.** წვრილ კრედიტის წარმომადგენელთა კრებამ მევახშეებთან საბრძოლველად გადასწყვიტა, რომ ამხანაგობებმა თვითონ იკისრონ პურისა, სასოფლო სამეურნეო იარაღის გაყიდვაზე შუამავლობა. ნასურველად სცნო აგრეთვე, რომ პურის ფასმა არ დაიკლოს და საზოგადოებებს პური ასესხონ ხოლმე. შემდეგი კრება 1912 წ. მაისისათვისაა დანიშნული.

**პენზა.** მოკშინის მაზრაში დაიწვა სოფელი სტეპანოვკა. განადგურდა 90 კომლი, პურის ბეღლები, სკოლა და სამრეკლო. დაზიანდა ეკლესია. მემამულეებმა სამი სასადილო გახსნეს.

**პეტერბურგი.** ინგლისელ სტუმრების შუამდგომლობა მოწონებულ იქმნა. სტუმრები მთავრობასა სთხოვდა, ნება მოგვეცით დარიალის ხეობასთან მდ. თერგზე ორი გიდრო-ელექტრონული სადგური გავმართოთ. პროექტის განხორციელება სასარგებლოდ იქმნა აღიარებული.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენის გაზეთის მახლობელ ნომერში შემდეგს.

1910 წლის პირველ იანვარს დაარსდა პარიკმახერთა არტელი. არტელში შედიოდა თექვსმეტი კაცი, რომლებმაც ამოირჩიეს გამგეობა ოთხის კაცისაგან. ის პირნი, რომელნიც გამგეობაში მოჰხვდნენ, გვარწმუნებდნენ, საქმეებს კარგად წავიყვანთ, და თქვენც მოგებას ნახავთო. ჩვენც დავუჯერეთ, გამგეობის წევრებად ავირჩიეთ და საქმეები ჩავაბარეთ, მაგრამ მოგვატყუვეს. სათადარიგო თანხამ ფეხი ვერ მოიკიდა. სხვაფრივაც ბევრი არა კანონიერება ჩაიდინეს. ყველა ამან აიძულა ზოგიერთი წევრები არტელიდან გამოვსულიყავით. ასეც მოვიქეცით. ანგარიშის მისაღებად მივმართეთ საქმის მწარმოებლებს, მაგრამ გვითხრეს, საზარალო საქმე აღმოჩნდა და თითო პაიდან 105 მანეთი უნდა დავიჭიროთო. სათადარიგო თანხა 800 მანეთი აღარ აღმოჩნდა. აი, ყველა ამან გვაიძულა ჩვენ, შვიდი წევრი, თავი დაგვენებებინა არტელისთვის.

**დ. გაბრუაშვილი.**

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო ქვემოთ აღნიშნულ პირთა, რომელთაც 1910 წ. საწევრო ფულის შემოტანით და სხვა და სხვა შემოწირულობით საშუალება მისცეს არსებობისა თ. ი. გ. ჭავჭავაძის სახელობაზედ დაარსებულს ქარელის უფასო წიგნთ საცავს-სამკითხველოს; საწევრო ფული თითო მანეთი შემოიტანეს. კნ. ელენე იოსების ასულმა, ელენე მიხეილის ასულმა, მარიამ ზაქარიას ასულმა, ალექსანდრა ვასილის ასულმა, მატრონა კოსტანტინეს ასულმა, ნინო სოლომონის ასულმა, მარიამ ალექსანდრეს ასულმა და ვარსენიკამ ციციშვილებმა, თ. თ. დავით დიმიტრის ძემ, არჩილ ივანეს ძემ, სოლომონ იოსების ძემ, ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ, ზაქარია ივანეს ძემ, ნიკოლოზ ივანეს ძემ, გრიგორ ირაკლეს ძემ, ვასილ არჩილის ძემ, შალვა ალექსანდრეს ძემ, გიორგი ალექსანდრეს ძემ, ნიკოლოზ გიორგის ძემ, რევაზ არჩილის ძემ, ციციშვილებმა, სოფიო ჩიქოვანისამ, მარიამ ს. განჟინსკისამ, ა. ი. გარსომვილმა, თ. რევაზ ი. ერისთავმა, ბლ. მღ. ი. ოქროპირიძემ, მ. მ. მარუაშვილმა, მ. ნ. იშხნელმა, ა. პ. ბეშკენაძემ, გ. ლ. ფოლოშვილმა, დ. ზ. როსტომოვმა, დ. ი. ასტვაცატუროვმა, ი. ა. ყიფიანმა. გარდა ამისა თ. იასონ დავითის ძემ ციციშვილმა შემოსწირა 63 ცალი სხვა და სხვა წიგნაკები ღირებული 10 მანეთი 93 კაპ. კნ. მარია ციციშვილისამ დანილევსკის თხზულებანი, კნიაჟნა მართა ციციშვილისამ სამი მანეთი, ვასილ არჩილის ძემ ციციშვილმა 2 მანეთი, ვარაპეტ ბარგამიანცმა გამოუწერა სამკითხველოს თავის საფასურით რუსული გაზეთი „Современное Слово“ და დავით როსტომოვი და დარჩო ასტვაცატუროვი იძლევიან ნავთს, რაც სჭირდება წიგნთ-საცავს-სამკითხველოს გასანათებლად.

ამასთანავე ვთხოვ პატივცემულს წევრებს ინებონ და მობძანდნენ პირველს ივნის ბიბლიოთეკის სადგურში წლის ანგარიშის მოსასმენათ.

გამგე წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი

**ბლ. მღ. იასონ ოქროპირიძე.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 54 წუთითაა უკან).

### ტფილისიდან გადის:

1) **ბათუმისკენ:** N 1. I—III კლ. ჩქარი მატ. ხაღ. 10 ს. 10 წუთზე, გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8 ს. 45 წ.

2) **საფოსტო** მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) **სახალხო მატ.** ღამ 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 28 წ.

4) **შერეული მატარ.** N 107, მეოთხე კლასით, გადის საღ. 9 ს 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამ. 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

**ბაქოსკენ:** 1) **სამგზავრო** N 6. I—III. კლ. გადის დილ 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) **საფოსტო მატ.** N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

3) **ჩქარი მატ.** № 2. I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუად. 1 ს. 44 წ., ბალაჯარში საღ. 10 ს. 2 წ. ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

**შერეული** მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

**ბორჯომისკენ:** 1) **სახალხო** მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) **სახალხო მატ.** № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

### ჯულფისა და ერევნისაკენ:

1) **საფოსტო** მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) **სამგზავრო და საქონ.** N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** ჩქარი მატარ. პლატსკ. N 1. I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით საღ. 8 ს. 7 წ.

**ბათუმიდან:** სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშუადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე 4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ერევნიდან:** სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

### ქუთაისიდან გადის:

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათუმისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

მღვიმევისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

### ქუთაისს მოდის:

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ. 8 ს. 20 წ. საღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით.

ბათუმიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით.

მღვიმევიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ.

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 2 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ საღამოს.

### ტფილისიდან მცხეთაში:

**სახალხო მატ.** N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში ჩადის 4ამ, 3 ს. 26 წ.

**სახ. მატ.** № 77, I—III კლ. გადის დილ 8 ს., მცხეთაში ჩადის დილის 8 ს. 43 წ.

### მცხეთიდან ტფილისში:

**სახ.** მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის საღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის საღ. 7 ს. 30 წ.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ზოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-ბაქო-კისლავოდსკამდე, საერთაშორისო სადილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკასიის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა საგარაკო № 76, 77, 76ა, 77ა.

4) **შერეული სახალხო მატ.** მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათუმს შუა სადგურების მისდევით ივლის.

**მეტეხისა და საგუბერნიო ციხეებში დატუსაღებულთა ნახვა შეიძლება დილის 10—2 საათამდე:**

**ხუთშაბათობით** — ციხე - მიხეილთა (Крепостникъ) და იმ დატუსაღებულთა, რომელთაც პოლიტიკური დანაშაულობა ბრალდებათ და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

**კვირაობით**—ადმინისტრატიულად დასჯილთა, საკეროპილე და სატუსაღო მისჯილთა (Тюрем. заключ. და арестант. отд.), და ყველა მათი, რომელიც სახლის სასამართლოში არიან მიცემულნი და საქმე ჯერ გამოძიებაშია.

**ყოველ თვის 20 რიცხვში** (თვეში ერთხელ)—კატორღა-მისჯილთა.

**დატუსაღებულთა ნახვისთვის ნებართვა**—თუ დატუსაღებულის საქმე გათავებულია და უკვე სასჯელს იხდის—ციხის ადმინისტრაციისგან უნდა აიღონ; თუ საქმე ჯერ გამოძიებაშია ნებართვისათვის იმ პირს ან დაწესებულებას უნდა მიმართონ, რომლის ხელშიაც საქმე ირიცხება.

**ყოველ კვირა-ხუთშაბათს** შეიძლება გადაცემა ჩაი-შაქრისა (რაიმე პარკებით), ტანისამოსისა და ფულისა. ფულის მიცემის დროს საჭიროა ბარათის ჩამოთქმა. რისამე მიცემის დროს საჭიროა რამიაც იქნება გახვეული გადასაცემი ზედ დაეკრას ქაღალდი, რომელზედაც ეწერება სია გადასაცემისა და გვარი ვისთვისაც არის დანიშნული.

**შეიძლება გადაცემა აგრეთვე წიგნებისა, მხოლოდ წინდა წინ ბრალმდებლისაგან ნებართვა უნდა იყოს აღებული.**


# განცხადებანი

## დოქტ. ნავასარდიანისა

უქმეს დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეკტაბეგოვი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ბ. გ. ბგახარიძე.** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი** 6—8 ს საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**თ. მ. ბეკბესკიან-ენგელი:** 6—6½ ს საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ო. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. (1168—45)

**გამოცდილი მასწავლებელი**

ამზადებს ქალ-ვაჟს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის

**პირობებით:**

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, ეპარქიულ სასწავლებლისთვის, ტეხნიკურ, სამეურნეო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე პოვივალნი ინსტიტუტისა, მიიღებს **პერეგზამენოვკიანებსაც.**

ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე.—ყველა კლასის ჩინზე. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებს.

მეცადინეობა იქნება სამ ალაგას: ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, ვაგზალზე და ვერაზე. მონაწილეობას **მიიღებენ მასწავლებლები** მცოდნენი უცხო ენებისა... მეცადინეობა დაიწყება დილის 8 ს-დან სადამოს 8 საათამდე. დროებით მასწავლებელთან მოლაპარაკება შეიძლება თავისუფლად 2-საათ დღით 6 საათამდე. მსურველს შეუძლიან ინახულოს სხვა დროსაც...

დროებითი ადრესი: Черкезовская ул. (быв. Авчальск.) д. № 133. кв. 4. противъ вакзала въ Нахаловкѣ.

**„შესავალი უმთავრეს კარებიდან“.**

(9—1084—6)

**„ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია“.**

1860 წ. დაარსებული.

ვურჩევთ იყიდონ სულ ახლად გამოსული გასასყიდად

პარიზი 1900. **ყვავილის ო-დე-კოლონი,**

**„საუცხოვო აკაცია“,**

**„ნუ დამივიწყებ“,**

**„მხიბლავი სუმბული“.**




თავისებური ძლიერი, საუცხოვო და ხანგრძლივი სურნელება.

**უმაღლესი ღირსებისა.**

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

(23—1292—1)




18 97

1897 წ.

1808 წ.

**1888**

**ა მ ხ ა ნ.**

**„პროვოდნიკი“**

ტფილისი, სოლოლაკის ქ. № 4, ტელეფონი 773.

გაიხსნა მეორე განყოფილება

**ხელზე სავაჭროდ**

მიხეილის პროსპ. № 97, ტელეფ. № 393.

იქვე იყიდება შინები და არის სახელოსნო

**ეტლების შინების გადასაკვრელად.**

შინების მეიდველთათვის გადაკვრა სპეციალისტ ოსტატის მიერ

**უფასოდ.**

(3—1259—1)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ**

**ძმ. ძეგველოვების**

**● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●**

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

**ახალ-ახალი**

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარადანა).

**ხიზილალა**

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია ღვინის ორაგული** (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო ჰაისუნი ხიზილალა

გირვანქა 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

**წითელი ხიზილალა** (Кетовая). 60 კ. გირ.

და **ბელა-რიბიცა** 50 კ.

აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა